კორექტირებული საპროექტო გეგმა
სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე
მასშ 1:200



ფორმატი
A 1

რევიზია	თარიღი

დირექტორი
კარლო
მშვიდობაძე

მთ.არქიტექტორი
გიორგი
ხუციშვილი

თანაავტორი
კარლო
მშვიდობაძე

პროექტის ნაწილი:
ობიექტის სახელწოდება:
სასაწყობე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (დაშენება-მიშენება) არქიტექტურული ნაწილი

დამკვეთი
დავით რობაქა

ობიექტის მისამართი
ქ. თბილისი,გ.ნადარეიშვილის ქუჩა №9

ფურცლის სახელი
სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე

Mk - architecture

ფურცელი	ფურცლები

კორექტირებული საპროექტო გეგმა
სართულის გეგმა 6.20 ნიშნულზე
მასშ 1:200



ფორმატი
A 1

რევიზია	თარიღი

დირექტორი კარლო მშვილდობაძე

მთ.არქიტექტორი გიორგი ხუციშვილი

თანაავტორი კარლო მშვილდობაძე

პროექტის ნაწილი:
ობიექტის სახელწოდება:
სასაწყობე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (დაშენება-მიშენება) არქიტექტურული ნაწილი

დამკვეთი
დავით როგავა

ობიექტის მისამართი
ქ. თბილისი,გ.ნადარეიშვილის ქუჩა №9

ფურცლის სახელი
სართულის გეგმა 6.20 ნიშნულზე

Mk - architecture

ფურცელი | ფურცლები

კორექტირებული საპროექტო გეგმა
სართულის გეგმა 10.80 ნიშნულზე
მასშ 1:200



ფორმატი
A 1

რევიზია	თარიღი

დირექტორი კარლო მშვიდობაძე

მთ.არქიტექტორი გიორგი ხუციშვილი

თანაავტორი კარლო მშვიდობაძე

პროექტის ნაწილი:
ობიექტის სახელწოდება:
სასაწყობე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (დაშენება-მიშენება) არქიტექტურული ნაწილი

დამკვეთი
დავით როგავა

ობიექტის მისამართი
ქ. თბილისი,გ.ნადარეიშვილის ქუჩა №9

ფურცლის სახელი
სართულის გეგმა 10.80 ნიშნულზე

Mk - architecture

ფურცელი | ფურცლები

კორექტირებული საპროექტო ბეჭმა
სართულის ბეჭმა 15.40 ნიშნულზე
მასშ 1:200



ფორმატი
A 1

რევიზია	თარიღი

დეტალური პროექტის ავტორი: გიორგი ხუციშვილი
მთ.არქიტექტორი გიორგი ხუციშვილი
მონაწილეები: ავტორი გიორგი ხუციშვილი

პროექტის ნაწილი:
ობიექტის სახელწოდება:
სასაწყობე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (დაშენება-მოშენება) არქიტექტურული ნაწილი

დამკვეთი
დავით როგავა

ობიექტის მისამართი
ქ. ობოლის,გ.ნადარეიშვილის ქუჩა №9

ნახაზის სახელი
სართულის ბეჭმა 15.40 ნიშნულზე

Mk - architecture

შარცელი	შენოლება

კორექტირებული საპროექტო გეგმა
სახურავის გეგმა
მასშ 1:200



ფორმატი
A 1

რევიზია	თარიღი

დირექტორი კარლო მშვიდობაძე
მთ.არქიტექტორი გიორგი ხუციშვილი
თანაავტორი კარლო მშვიდობაძე

პროექტის ნაწილი:
ობიექტის სახელწოდება:
სასაწყობე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (დაშენება-მიშენება) არქიტექტურული ნაწილი

დამკვეთი
დავით როგავა

ობიექტის მისამართი
ქ. თბილისი,გ.ნადარეიშვილის ქუჩა №9

ფურცლის სახელი
სახურავის გეგმა

Mk - architecture

ფურცელი
ფურცლები

პირობითი აღნიშვნები

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- იატაკის მოპირკეთების ნიშნული
- სართული (X.XX)
- ს.ზ.ნ. X.XX
- ნიშნული გეგმაზე/ჭრილზე/ფასადზე
- სტრუქტურული ზედაპირის ნიშნული
- 1 ჭრილის ხაზი
- 1 ღერძის ხაზი
- ჩრდილოეთის აღმნიშვნელი ნიშანი
- კარის თავისუფალი სიგანე
- ოთახის ნომერი
- 850 / 2050, 3 / 30 — კარის აღნიშვნა
- ხანძარმედეგობა (წთ)
- კარის თავისუფალი სიმაღლე
- ოთახის/სივრცის დასახელება
- სავაჭრო / 2 85.3 — ოთახის/სივრცის აღნიშვნა
- ოთახის/სივრცის ფართობი
- ოთახის/სივრცის ნომერი
- დაკავებულობის ჯგუფი(ქვეჯგუფი)
- სვ / ღღ 31 — დაკავებულობა
- დაკავებულობის დატვირთვა
- — უნარშეზღუდულთა მომსახურების სიმბოლო

- კედლის ცეცხლმედეგობა (ერთსაათიანი)
- გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური მანძილი
- — სასაწყობო (სწ) ჯგუფის დაკავებულობა
- — დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობა
- — გასასვლელი
- — ხელის ცეცხლმაქრი
- — საშხეფი სისტემა
- — კვამლის აღმომჩენი
- — საავარიო განათება
- — სახანძრო მილდგარი
- — განგაშის სისტემა
- — ჰიდრანტი
- — გაძლიერებული ბლოკის კედელ(
- — კოლონა

გამოყენებული წესები – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულობები და აღწერეთ თითოეული გამოყენება	
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (სასაწყობო ფართი) დაკავებულობის დატვირთვა - 180	პირველი, მეორე, მესამე სართულები (0.00; +6.20; +10.80 ნიშნულებზე)
2. დამხმარე ჯგუფი დს (საგენერატორო, სატუმბო) დაკავებულობის დატვირთვა - 4	პირველი სართული (0.00 ნიშნულზე)

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი არსებული შენობისთვის: მაგალითი: II–A, II–B, V–A, V–B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II–A, II–B, V–A, V–B	II–B
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები (ცხრილი 503-ის მიხედვით)		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სამრეწველო ჯგუფი სწ-1	3	3 სართული (0.00; +6.20; +10.80 ნიშნ.)
2. დამხმარე ჯგუფი დს	2	1 სართული (0.00 ნიშნ.)
	დასაშვები სიმაღლე (მ)	შემოთავაზებული სიმაღლე (მ)
საერთო სიმაღლე (მ) =	16.8	16.2
მიწის დონის ზემოთ სართულების რაოდენობა =	3	3

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი ფართობის შეზღუდვები (ცხრილი 503-ის მიხედვით)		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი (სართულზე მ)	შემოთავაზებული ფართობი (სართულზე მ)
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (0.00 ნიშნ.)	1630	2592.17
2. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (+6.20 ნიშნ.)	1630	2862.52
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (+10.80 ნიშნ.)	1630	2862.91
4. დამხმარე ჯგუფი დს (0.00 ნიშნ.)	790	70.18
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	8387.78	
სართულების რაოდენობა =	2	
შენობის საერთო ფართობი =	9048.7	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8-ის მიხედვით									
გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (სთ)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი
1 – 16 (ღერძებში)	4.9	1	1	–	75 %	–	–	18 %	–
ა – ზ (ღერძებში)	2.6	1	1	–	25 %	–	–	0 %	–
16 – 1 (ღერძებში)	18.4	1	1	–	შეუზღუდავი	–	–	16 %	–
ზ – ა (ღერძებში)	12.9	1	1	–	შეუზღუდავი	–	–	14 %	–

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/ სივრცეები/ გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	კი	–	კვამლის აღმომჩენი	კი	კი	კი	–
დამხმარე ჯგუფი დს	–	–	–	–	–	–	–
კიბის უჯრედები	–	–	კვამლის აღმომჩენი	–	–	–	–
ლიფტები	–	–	–	–	–	–	–
დერეფანი	–	–	–	–	–	–	–
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი (სახანძრო ჰიდრანტი)			
სახანძრო წყლის რეზერვუარი და სატუმბი სადგური განთავსებულია შენობის პირველ სართულზე (0.00 ნიშნ.)				კი			

სახანძრო ჰიდრანტი და წყლის რეზერვუარი შენობას არ გააჩნია.სანაცვლოდ შენობა მდებარეობს
[illegible] ...ალებლად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	კი	კი
დამხმარე ჯგუფი დს	———	კი
კიბის უჯრედები	———	კი
ლიფტები	———	კი
დერეფანი	———	კი

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერეფანი		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=56)	2	2 (გზა-კარი)	1.2	1.2	1.2	1.25	0.82	0.85
მეორე სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=62)	2	2 (გზა-კიბე)	1.2	1.2	1.2	1.25	0.82	0.85
მესამე სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=62)	2	2 (გზა-კიბე)	1.2	1.2	1.2	1.25	0.82	0.85

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა (ცხრილი 1602.1-ის მიხედვით)													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფონტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=56)	1	6	1	6	–	–	1	1	1	4	–	–
მეორე სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=62)	1	3	1	3	–	–	1	2	1	3	–	–
მესამე სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (დდ=62)	1	3	1	3	–	–	1	2	1	3	–	–

საბენეჭრატორო	
1	დს
34.54 / 27.9 = 2	
დდ 2	

ფეხის ტუმბო	
1	დს
35.64 / 27.9 = 2	
დდ 2	

ჯიბის უჯრედების და ლიფტების შახტის შემომგზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათი

ჯვამლის და სითბოს გაწოვა

სასაწყობო ფართი	
1	სწ-1
2592.17 / 46.5 = 56	
დდ 56	

გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათი

თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათი

04/1 08/1 19/1 20/1 16/1 05/1 17/ 18 07/1 02/2

მეორე სართულის გეგმა



სასაწყობო ფართი	
2	სწ-1
2862.52 / 46.5 = 62	
დდ 62	

გარე ჯედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათი

თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათი

ჯიბის უჯრედების და ლიფტების შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათი

1,024

1,050

978

9,497

74.1 მ

101 მ

R 30.0

R 30.0

სასაწყობე ღია ფართი

2,862.91 m2

+10.80

25.31 m2

43.34 m2

25.07 m2

ბსმ 57 მ

ბსმ 57 მ

ჯვამლის და სითბოს გაწოვა

სასაწყობო ფართი	
3	სწ-1
2862.91 / 46.5 = 62	
დდ 62	

გარე ჯედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათი

თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათი


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
+1.500
±0.000
+6.200
+10.800
+15.400
+18.200

3349

961

გენგეგმა

შენობა №	ფუნქცია	კედლების ტიპი
02/2	მშრალი საწობი მაცივრები საოფისე	ტუფი, კარკასი ბლოკი შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
03/1	სამაცივრე	სამაცივრე
04/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
05/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
06/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
07/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
08/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
09/1	დაცვის ჯიხური	სენდვიჩ პანელი
10/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
11/2	უწვადი ნივთები საწყობი საოფისე	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
12/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
13/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
14/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
15/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
16/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
17/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
18/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
19/1	უწვადი ნივთები საწყობი	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით
20/1	ელ სადგური	ბლოკი, შელესილი ქვიშაცემენტის ხსნარით



საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №9 (ს/კ 01.17.11.009.016).
მესაკუთრე: სააქციო საზოგადოება "ჯორჯიან ჰოლდინგი" (206052108).
დამკვეთი: დავით როგავა.
პროექტის ავტორი: არქიტექტორი კარლო მშვიდობაძე.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე.

შენიშვნები:

1.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სასოფლო სამეურნე სასაწყობე ფართის საპროექტო სამუშაოების შესრულება-დაგეგმარება თანამედროვე უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია პირობითად განსაზღვრულია 2 მხრიდან ქუჩებით და 2 მხრიდან კერძო ნაკვეთებით არსებულ მიწის ნაკვეთს. მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №9. ტერიტორიის ფართი 15110 კვ.მ არასასოფლო სამეურნე სტატუსით.

ძირითადი მისასვლელი გზა ტერიტორიამდე წარმოადგენს გიორგი ნადარეიშვილის ქუჩას, რომელიც ნაკვეთს ემიჯნება ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ქუჩა წარმოდაგენს 4-ზოლიან (2/2) სამანქანე სავალ ნაწილს, განიერი ტროტუარებით. ტერიტორიას გააჩნია ზემოხსენებული ქუჩის მხრიდან 2 შესასვლელ-გამოსასვლელი, რაც ყოველმხრივ მოსახერხებელს ხდის მანქანების მოძრაობას, დატრიალებას და ტრაექტორიას მიწის ნაკვეთის შიდა ტერიტორიაზე. ასევე, სახანძრო უსაფრთხოების მაქანების და პერსონალის მისადგომობა-ტერიტორიიდან გასვლას. სამხრეთ დასავლეთის მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება, ასევე, 4-ზოლიანი (2/2) ფართეტროტუარიანი გზა, სამგორის ქუჩა, რომელი მხრიდანაც მომავალში იგეგმება დამატებით კიდევ ერთი სამანქანე შესასვლელის მოწყობა. აღმოსავლეთ და დასავლეთ მიჯნის ზონები წარმოადგენს მიწის ნაკვეთებს, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახის სამეწარმეო და არასამეწარმეო შენობა ნაგებობები. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სწორი რელიეფის მქონე ნაკვეთს, სრულად დაფარული ბეტონის საფარით და მინიმალური გამწვანებით, რათა მანქანების გადაადგილება, შენობებთან მისადგომობა და მათ გარშემო წრიული მოძრაობა იყოს მაქსიმალურად კომფორტული და ყველა შენობისადმი მისაწვდომობა გახდეს შესაძლებელი.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

მოგახსენებთ რომ პროექტი მოიცავს საკადასტრო გეგმაზე დარეგისტრირებული შენობა ნაგებობა 1/1 ის რეკონსტრუქციას. არსებული შენობა წარმოადგენს 1 სართულიან სასაწყობე ნაგებობას, პროექტის შედეგად მივიღებთ სამ სართულიან შენობა ნაგებობას სასაწყობე ფუნქციით. პროექით გათვალისწინებულია მართკუთხა ფორმის შენობის აშენება, შიდა გახსნილი სივრეებით, მინიმალური ლენტური ფანჯრის ღიობებით, ლითონის კარებით, ტრაილერების მისადგომი ბაქნითა და შიდა ლიფტების მოწყობით.საპროექტო ობიექტს სრულად ექნება ინდივიდუალური 2 შესასვლელი, 2 კიბის უჯრედი და შენობის კუთხეებში სატვირთო ლიფტები.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემების აღწერა:

კონსტრუქციულად ნაგებობა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასს, რომელიც შეიფუთება ე.წ. სენდვიჩ-პანელებით რომელიც აკმაყოფილებს ცეცხლმედეგობის ხარისხს და გვაქვს შესაბამისი სერთიფიკატიც.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 15110.0 კვ.მ
განაშენიანების ფართობი – 12595.13 კვ.მ
საერთო ფართობი – 9048.7 კვ.მ
მათ შორის:
სასაწყობე ფართობი – 8317.6 კვ.მ
დამხმარე ფართობი – 345.07 კვ.მ
კიბის უჯრედის ფართობი – 292.8 კვ.მ
საზაფხულო ფართობი (ბაქანი) – 93.15 კვ.მ

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე – 19.70 მ
0.00 ნიშნულს ზევით – 18.20 მ
0.00 ნიშნულს ქვევით – 1.50 მ

ძირითადი ნაწილი

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12) ლიფტების შეფასება.

1) დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია **სასაწყობო შენობის** პროექტი სამი მიწის დონის ზედა სართულით.

პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **311** და **312 ქვეთავებს.**

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნულზე) განთავსებულია: სასაწყობო სივრცე, საგენერატორო, სახანძრო წყლის ტუმბო და რეზერვუარი, საერთო ფართობით **2662.35 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=60.**

<u>სასაწყობო სივრცე</u>, **311.2 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც საშუალო საფრთხის შემცველი **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **2592.17 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=56.**

<u>საგენერატორო,</u> <u>სახანძრო წყლის ტუმბო და რეზერვუარი</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **70.18 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4.**

მეორე სართული (**+6.20** ნიშნულზე) დათმობილი აქვს <u>სასაწყობო სივრცეს</u>, როგორც საშუალო საფრთხის შემცველ **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას – ფართობით **2862.52 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=62.**

მესამე სართული (**+10.80** ნიშნულზე) დათმობილი აქვს <u>სასაწყობო სივრცეს</u>, როგორც საშუალო საფრთხის შემცველ **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას – ფართობით **2862.91 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=62.**

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი – 8387.78 მ².**
დაკავებულობების დატვირთვის **ჯამური მაჩვენებელი დდ=184.**

<u>დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის (**503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე) განსაზღვრულია კონსტრუქციის **II- B ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიერ მოთხოვნილია **3 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, რაც სრულად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული რკინაბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა 600x600 მმ).

601 ცხრილში არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო **1-საათიანი** ხარისხია მოთხოვნილი. საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **1-**საათს უდრის, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე (რკინა-ბეტონის კარკასი შემოფარგლულია "ქვაბამბის სენდვიჩის" პანელებით).

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) **2-**საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **II- B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დასაშვებია სიმაღლე – **16.8 მ**, ხოლო დაკავებულობის მიხედვით სართულიანობა და ფართობი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **3** და ფართობი – **1630 მ²**;
დს ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **2** და ფართობი – **790 მ²**,

ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (სასაწყობო ფართობი): სიმაღლე – **15.1 მ**, სართული – **3** და ფართობი – **8317.6 მ²**;

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დამხმარე ფართობი): სიმაღლე – **5.9 მ**, სართული – **1** და ფართობი – **70.18 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა **3**-სართულიანია მიწის დონის ზემოთ, სიმაღლით – **16.2 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **+10.80 მ** და საერთო ფართობით – **9048.7 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შენობა სამი მიწის დონის ზედა სართულით, რომელიც განთავსებულია სწორ რელიეფზე. შენობაში მოწყობილია ორი შემოზღუდული კიბის უჯრედი, რომელიც აკავშირებს ყველა სართულს, ასევე, მოწყობილია ოთხი ლიფტი, რომელიც ემსახურება ყველა სართულს.

პირველ სართული წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კარით, რომელთა შორის გამმიჯნავი მანძილი **71** მეტრია, რაც შენობის ფართობის საერთო დიაგონალური სიგრძის (**101** მეტრის) ნახევარზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად. გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური სავალი მანძილი **63** მეტრია, რაც შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნას.

მეორე და **მესამე სართულები** წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით, რომელთა შორის გამმიჯნავი მანძილი **74.1** მეტრია, რაც შენობის ფართობის საერთო დიაგონალური სიგრძის (**101** მეტრის) ნახევარზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად. გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური სავალი მანძილი **57** მეტრია, რაც შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნას.

შენობიდან გამოსასვლელები მდებარეობს მიწის დონის 0.00 ნიშნულზე და უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს იმავე ნიშნულზე.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება.

საპროექტო შენობის გასასვლელი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინიმალური **1.2** მეტრი სიგანის გზა-კიბე (თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის), რაც შეესაბამება

მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **28** სმ-ია, შეუული სიბრტყისა კი – **16.4** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

საპროექტო შენობის სასაწყობო დაკავებულობები წარმოდგენილია ერთი მთლიანი სივრცით, შესაბამისად, გზა-დერეფნები არ გააჩნია, დერეფნები მოწყობილია მხოლოდ სველ წერტილებში, მინიმალური სიგანით **1.25** მეტრი, რაც აკმაყოფილებს **1018.2 ცხრილის** მოთხოვნას.

შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარის სუფთა მინიმალური სიგანე არ უნდა იყოს **0.82** მეტრზე ნაკლები, ხოლო არსებული პროექტით გზა-კარის მინიმალური სიგანე წარმოდგენილია **0.85 მ**, რაც შეესაბამება მოთხოვნას.

<u>გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6) მისაწვდომობის შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პროექტზე არ არის მოთხოვნილი მისაწვდომობით უზრუნველყოფა.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

პროექტის მიხედვით გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **1**-საათს უდრის და შეესაბამება **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

705.8 ცხრილის შესაბამისად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, <u>დაუცველი, საშხეფებით</u>, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით:

1 – 16 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **4.9** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **75 %**, ხოლო წარმოდგენილია **18 %**.

ა – ზ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **2.6** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **25 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

16 – 1 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **18.4** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **16 %**.

ზ – ა ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **12.9** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **14 %**.

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობის სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა) **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილში II- B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა (+15.40 ნიშნულზე). შენობა გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.

ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის ბოლო სართულიდან ორივე გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე, სადაც გათვალისწინებულია კიბის უჯრედის ამოსასვლელისა და ლიფტის სამანქანოს მოწყობა, **705.11.1 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობის <u>პარაპეტები</u> აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით. პარაპეტის სიმაღლე **80** სანტიმეტრია, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება საყრდენი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილი **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით და **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

პროექტით, გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, წარმოდგენილია **2** საათი, რაც შეესაბამება **1009.3.1.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ლიფტის და სავენტილაციო შახტები, ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

წესების **მე-9 თავის** მიხედვით, საპროექტო შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის შემდეგი სისტემები:

903.2.9 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა მთლიანად უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის მიხედვით, შენობა არ საჭიროებს ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას.

905 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარის სისტემების დაყენება.

906.1 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობაში ხელის ცეცხლმაქრები გათვალისწინებულია.

907 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები. შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის მოწყობა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას.

908 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა არ საჭიროებს საავარიო განგაშის სისტემების მოწყობას.

909 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემებით.

912.2 ქვეთავის თანახმად, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა გათვალისწინებულია სავალი გზის გასწვრივ, საპროექტო შენობის კედლიდან 25 მეტრის დაცილებით, „ზ–ა“ ფასადის მხრიდან.

საპროექტო შენობის პირველ სართულზე გათვალისწინებულია სახანძრო წყლის ტუმბოს და რეზერვუარის სათავსის მოწყობა, რომელიც შენობის ყველა სხვა ფართობისაგან გამიჯნულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით და თარაზული ანაწყობებით, **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად.

1006 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.
სათადარიგო ელექტრომომარაგებისთვის გენერატორის განთავსება გათვალისწინებულია საპროექტო შენობის პირველ სართულზე.

საპროექტო შენობის სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის თავისუფალი სიგანე, სიმაღლე და მოხვევის რადიუსი შეესაბამება **915.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

<u>პირველ სართულზე</u> (0.00 ნიშნ.):

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=56):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;
- 4 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 წყლის დასალევი დისპენსერი.

<u>მეორე სართულზე</u> (+6.20 ნიშნ.):

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=62):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;
- 3 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 წყლის დასალევი დისპენსერი.

<u>მესამე სართულზე</u> (+10.80 ნიშნ.):

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=62):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;
- 3 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 წყლის დასალევი დისპენსერი.

<u>წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

12) ლიფტების შეფასება.

საპროექტო შენობაში მოწყობილია წესების მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული ოთხი ლიფტი..

ლიფტის შახტის ზომებია: 400 მ x 6.30 მ, ხოლო კაბინის – 2.84 მ x 3.31 მ. ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია მექანიკური განიავების სისტემების მოწყობა, **909.21 ქვეთავის** შესაბამისად.

ლიფტის სამანქანო განყოფილება მოწყობილია შენობის +15.40 ნიშნულზე.

ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და სამუშაო ნახაზები განსახილველად უნდა წარედგინოს სისტემის დაყენებამდე.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც

იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.009.016), სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



04.07.2023 წ.


Georgia IDENTITY CARD
პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ქართლოს
KARTLOS
გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01021006049
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
26.02.1959
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.06.2026
ბარათის No / CARD No
15ID21055
ხელმოწერა
SIGNATURE


დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
დასახელებული ინსტიტუტის
სრული კურსის სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1987 წ. 28 x
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ф.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс названного института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П. Город Тбилиси „28" x 1987 г.
Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საყოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი"-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი". **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2021 წ - დან ტექნიკური რეგლამენტი **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი"**-სთან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი